

# საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობა

გუშინ, 28 იანვარს 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობა.

ყრილობას ხსნის რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი.

საქმიან პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს მ. ა. გოგიჩაიშვილს, ა. ნ. ინაურს, შ. დ. ქვიციანიძეს, თ. ი. ლოლაშვილს, პ. ვ. მელნიკოვს, ვ. პ. მუხამაძეს, ნ. შ. ცხაკაიას, გ. ხ. ძოწენიძეს, შ. ი. ტანუფვაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, რ. ვ. მერტიველს, თ. ი. მოსაშვილს, ჯ. ი. პატიაშვილს, საქართველო პროფსაბჭოს მდივანს ა. პ. ბირიუკოვს და სხვებს.

დღევანდელმა შექმნეს ყრილობის ხელშეწყობის ორგანიზაცია — სამდივნო, სარედაქციო და სამხანდატო კომისიები.

შეკრებილთა ტამის გრილში ყრილობის საბატო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს, ამტკიცებენ მუშაობის დღის წესრიგს და რეგლამენტს, საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობის განსახილველად შეაქვეთ შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში.
2. საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:
  - ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს;
  - ბ) სარევიზიო კომისიის;
  - გ) სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატებისა.

ტრიბუნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია, იგი კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას რესპუბლიკის პროფკავშირთა XV ყრილობისადმი, რომელსაც მჭიდვარე ტამით შეხვდნენ.


საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. შ. ვასაძე, ყრილობა იწყებს დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ა. გ. თოდუამ.

მოსხენებთან გამო გაიმართა კამპანია მონაწილეობის თბილისის კრილოს ცენტრის ჩარხსაშენებელი მატრის ხიზნის მუშაობის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. გ. სარალიძე, აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. ვ. შარტავა, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. ტ. ბიგვადა, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. გ. ეჯიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ვადაჭკორია.


ყრილობამ მოისმინა სამხანდატო კომისიის თავმჯდომარის დ. თ. ჯოლოჯავას მოხსენება, ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესსა).

პროფკავშირთა XV ყრილობის მუშაობის შედეგად



1972 წ. № 20 იანვარი, შაბათი. (4530) შახი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან



10 მაისს რიგაში

სამ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров СССР и республиканского Совета профсоюзов



საპოროს „თეთრი თაგაშების“ გახსნამდე დარჩა 5 დღე

ჭადრაკის დედოფალი ნ. გაფრინდაშვილი და პრეტენდენტი ა. კუშნირი...

## ჯამთრის XI ოლიმპიადის ირგვლივ

**თაგაშების მომხყობანი კმაყოფილი არიან**

საპოროს ჯამთრის ოლიმპიადის შედეგად, რომ ბილიტების გაყიდვით შემოსული თანხა ვერ დაფარავდა იმ ხარჯებს, რაც მათ გასწიეს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარებისთვის. მაგრამ ეს შიში უკვე გაქარწყალა თვით იაპონიაში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გაყიდული ბილიტების რაოდენობამ, როგორც გამოიკვეთა, აღემატება უკვე გაყიდული ბილიტების 60 პროცენტზე მეტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თამაშების საზეიმო გახსნამდე 5 დღე დარჩა, ორგანიზატორები ერთობ კმაყოფილი დარჩებიან.

**130 მზარეული — ოლიმპიელთა სამსახურში**

დღეი ჩაუა დაადგათ ოლიმპიადის ორგანიზატორებს, რომ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა, ოფიციალურ პირთა, ურნალისტთა კვების საკითხი მოეგვარებინათ. ხუმრობა ხომ არ არის 5700 კაცის გამასპინძლება. და აი, ოლიმპიადის სამზარეულოთა სამმართველომ ეს საკმე მიანდო 180 მაღალკვალიფიცირებულ მზარეულს, რომელთაც მეთაურობს მშ წლის კეიტის საიტო — საპოროს ერთ-ერთი სასტუმროს ვეტერანი შეფი-მზარეული. მისი ხელმძღვანელობით მზარეულები დაამზადებენ ევროპულ, ამერიკულ, სკანდინავიურ და აზიურ კერძებს.

მატჩი გაიმართება რიგაში, ოფიცერთა სახლის ოქროს დარბაზში. იგი საზეიმოდ გაიხსნება 10 მაისს, მეორე დღეს კი პირველი მატჩი შედგება.

მატჩში 16 მატჩი უნდა გათამაშდეს. გაფრინდაშვილს ჭადრაკის დედოფლის ტახტის შესანარჩუნებლად 8 ქულა ჰყოფნის, კუშნირმა კი, ჩემპიონი რომ გახდეს, 8,5 ქულა უნდა მოაგროვოს. როგორც კი ერთ-ერთ მატჩს 8,5 ქულა დაუგროვდება, მატჩი შეწყდება.

ბარათში აღნიშნულია, რომ ორთაბრძოლის მთავარ არბიტრად ორი კანდიდატურაა დასახელებული: საერთაშორისო ოსტატები და საერთაშორისო არბიტრები ნ. გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია) და შ. დე-სილანი (საფრანგეთი). მოწვევა ჯერ ჩეხოსლოვაკიელ არბიტრს გაეგზავნა, რომელმაც ე. ბიკოვსთან და კუშნირთან (ორივე) მატჩში იმსახა. მსაჯად მიწვეულია მოსკოველი საერთაშორისო არბიტრი ტ. სტრანდსტრემა, რომელიც, სხვათა შორის, მსოფლიო პირველობის წინა მატჩსაც მსაჯობდა.

## იხსპარეშებენ თუ არბ სამთომოტოსილაგურები

ქსლა, როცა საპოროს ოლიმპიური სოფლის ანძებზე უკვე 20-მდე ქვეყნის სახელმწიფო ალმები აფრიალდა, გავიდა მონაწილეთა განაცხადების შეტანის ყველა ვადა, საგონებელში ჩავარდნენ იმ ქვეყნების სამთომოტოსილაგურთა სპორტის ფედერაციების მესვეურები, რომელთაც

## უსაქმური შოფრები


იანმლობას უწევს თამაშებზე ჩამოსული სპორტსმენებს, გამოცოცხლდა ოლიმპიური სოფელი, სადაც ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ლაპარაკს მოისმენთ. ოლიმპიელები ვარჯიშობენ, ემზადებიან დიდი სტარტებისთვის. მონაწილეებმა წუთიც რომ არ დაკარგონ, ორგანიზატორებმა გამოუკვეს კომფორტაბელური სარეისო ავტობუსი, რომლებიც სოფლის ტერიტორიას ემსახურებიან. მაგრამ ავტობუსების შოფრები თითქმის უსაქმოდ არიან. მანქანები ცარიელი დადებიან სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. ეს განსაზღვრავს აღნიშნული მანძილის ფეხით განსვლელად საჭიროა სულ რაღაც 20 წუთი და თამაშების მონაწილენი ავტობუსებში ჩდომას სულთა პერსონალს, ხასიათს ანაზ-

## გოგება და ორი წაგება

პენსა, 28 იანვარი. პენსასა და ნოვოსიბირსკში მიმდინარეობს „ა“ კლასის I გრუფის კალათბურთულ ქალთა საკავშირო პირველობა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გუნდი პენსაში თამაშობს. აი, თბილისელთა შედეგები: სპი — „ავანგარდი“ (დონეცკი) 53:42, უსკ (ტარტუ) — სპი 60:54, სპი — „სპარტაკი“ (პენსა) 53:54.


მოსკოვი, 27 იანვარი. ამხანაგული მატჩების ჩასატარებლად აქ სტუმრად ჩამოვიდა სოფლის ცსკა-ს კალათბურთულ ვაკთა გუნდი. გუშინ სტუმრები დამარცხდნენ მოსკოველ თანაკლებელეთან (66:100), ხოლო დღეს სძლიეს ადგილობრივ „ბურევესტიკს“ — 85:66.

## გულგარეული სტუმრები



სურათზე: ვ. მურატოვი მაკომანის სტადიონზე საწვრთნელი ვარჯიშის დროს.

სურათზე: ოლიმპიური ოქროს მედალი, მარცხნივ — მედლის ზედა მხარე, რომელზეც აღბეჭდილია თბილისში მუროს კვალი და საცი-გურაო; მარჯვნივ — მედლის მეორე მხარე.



საკდების ტელეფოტო.







### მონტუორი ჩილიელთა სათავუში

მას შემდეგ, რაც ფ. რაერა ჩილის ხაერებს გამოეთხოვა, ამ უკანასკნელს მწვრთნელები სანტოლოდ არ უჩერდებიან. ბოლო ხანებში აქ ორხელისუფლებიანობა იყო: გუნდს თანაბარი უფლებებით ხელმძღვანელობდნენ რ. პინო და ლ. ვერა, ახლა კი ორივე ეს მწვრთნელი გადადგა.

ჩილის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საგანგებოდ მოეზადოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. საამისოდ საჭიროდ მიიჩნიეს უპირველეს ყოვლისა ზირვილხარისსოფიანი მწვრთნელის გამოწვევა, რომელიც სხვა დირსებებთან ერთად საუკეთესოდ უნდა იცნობდეს ევროპულ ფეხბურთს. ასეთი საეციალისტიც გამოწვევას იტალიის ნაკრების ყოფილი წევრი მ. მონტუორი, რომელიც უწინ დიდი წარმატებით გამოდიოდა ამ ქვეყნის სხვადასხვა კლუბში, მერე კი მწვრთნელად მუშაობდა.

### ეს შესანიშნავი კრტიმე!

რცა სამხრეთამერიკელ ვარტულებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, პირველ ყოვლისა ასახელებენ ლ. არტიმეს. ეს შესანიშნავი არგენტინელი ფეხბურთელი ახლა თამაშობს ურუგვაიში, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ „ნასიონალში“ (მონტევიდეო). არტიმეს გულისთვის ერთმანეთს ვდავებთან ევროპისა და ამერიკის საუკეთესო კლუბები.

„ნასიონალში“ ოდესღაც (1938-48 წლებში) გამოდიოდა ცნობილი თავდასხმელი ვარსია. მას საოცარი რეკორდი ეკუთვნის: ერთ სეზონში გატანილი 52 გოლი. ამ რეკორდს შარშანდღამდე ვერავინ მიუახლოვდა, ახლა კი იგი უკვე კოლად მიიხსნება. საქმე ისაა, რომ 1971-72 წლების სეზონში არტიმეს რამდენიმე მატჩი დარჩა ჩასატარებელი, მას კი უკვე გატანილი აქვს 51 ბურთი.

### დოკორტი კმაყოფილია

უთლანდის ნაკრების ახალი მწვრთნელი ტ. დოკორტი ხშირად ესწრება ამ შოტლანდიელი ფეხბურთელების მატჩებს, რომლებიც ინგლისის სხვადასხვა ლიგაში გამოდიან. ეს გასაგებია. მათ შორის საუკეთესოები მან ნაკრებში უნდა მიიწვიოს მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში.

დოკორტის ძალიან მოწონს „ბორნემუტის“ ახალგაზრდა თავდასხმელი ტ. მაკდუგალი, რომელსაც სნაიპერის იმეათი თვისებები აქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1971 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ოფიციალურ თამაშებში ამ შოტლანდიელმა „კანონირმა“ გაიტანა 65 (!) ბურთი. „ბორნემუტი“ III ლიგის უნდა და ამიტომ მაკდუგალი არ მონაწილეობს „ოქროს ბუტის“ ევროპულ კონკურსში, თორემ კონკურენციას ვინ გაუწევდა!

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მაკდუგალს უკვე „დაჯავშნული“ აქვს ადგილი ნაკრებში. დოკორტი სპეციალურად შეხება მისი გუნდის მწვრთნელს ჯ. ბონდს, რომელიც ასევე მაღალი აზრისაა შოტლანდიელი ფეხბურთელის ტალანტზე.



ბაკურიანში, სსრ კავშირის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის — „ლელოს“ პრიზზე გამართული სამთომოთხილამურეთა ტურნირის პირად ასპარეზობაში შესანიშნავად გამოვიდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, 15 წლის გ. ლომინაძე. ამ ქაზუკს მოზარდთა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში თავი უწინაც უსახელებია, მაგრამ ახლა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — გიგანტურ სლომში 81 მონაწილესთან ჰიდილში (მათ შორის 28 სპორტის ოსტატი და 18 სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო) ორი ცდით ლენინ-გრაძელ სპორტის ოსტატობის კანდიდატთან ა. კუზნეცოვთან XIII-XIV ადგილები გაიყო და პირველად შესარულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სურათზე: გ. ლომინაძე გიგანტური სლომის ტრასაზე. ო. გელაშვილის ფოტო.

### ოლიმპიკადის ჩემპიონობის ტოტვი

მიუხედავად ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ პერიოდში საწვრთნელ მეცადინეობებზე 2200 კილომეტრის დაფარვას აპირებს მსოფლიო რეკორდსმენი ყველა დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ავსტრალიელი მოსწავლე შეინ გოულდი. ასეთი დიდა გეგმის შესასრულებლად სპორტსმენმა აუზში 1000 საათი უნდა გაატაროს.

ავსტრალიელ მწვრთნელებს არ სურთ ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს გოულდის წვრთნის მეთოდები, მაგრამ რეიტერის სააგენტომ მაინც შეძლო გავიგო წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის დღის რეჟიმი. შეინი დღის 4 საათზე დგება და 45 წუთის შემდეგ უკვე აუზშია, თავისი სახლის მახლობლად. დილის ვარჯიში ორსაათიან ვარჯიშად გადაიქცევა. შემდეგ გოულდი საუზმობს და სკოლაში მიდის.

გაკვეთილების შემდეგ იწყება ორსაათიანი ვარჯიში. მერე შეინი გაკვეთილებს აწვდებს. იძინებს 20 საათსა და 30 წუთზე. ზღა დღეში საშუალოდ 12 კილომეტრს ფარავს წყლის ბილიკებზე.

ეს მაღალი, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად ჩანს მუხლი, ქერა გოგონა უჩვეულოდ ნიჭიერი მო-

ცურავა. თავისუფალი სტილით ცურვაში ყველა დისტანციაზე რეკორდსმენობა დაახლოებით იმავე ნიშნავს, რომ კაცი რეკორდსმენი იყოს მძლეოსნობაში 100 მეტრიდან მარათონამდე. შემთხვევითი როდია, რომ ყველაზე თამამი გულშემატკივრები შეინს ექვს ოლიმპიურ ოქროს მედალსაც კი უწინასწარმეტყველებენ. მაგრამ გოულდის მწვრთნელი ფორბს კარლალი კი სხვას ამბობს: ბედნიერი ვიქნები, შეინმა თუნდაც ერთი მედალი რომ მოიპოვოს.

რასაკვირველია, ოლიმპიადისთვის მზადება გოულდის მთავარი ამოცანაა, მაგრამ იგი მაინც 15 წლის გოგონაა. შეინი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რომ კინოში გაიქცეს ან თანატოლებში გაერთოს. მეგობრები მას „წყლის ქალს“ ეძახიან. ცურვის გარდა შეინის საყვარელი გასართობია ოქვანის ტალღებზე საგანგებოდ გაკეთებული დაფით სრიალი და პატარა აფრიანი ნავთ ცურვა.



### საქონელი ჩაღდება

ევროპისა და ამერიკის დარბაზებში ჩაღდება ზამთრის მძლეოსნური სეზონი. კანადის ქალაქ ვინიპეგში გაიმართა ორი საუკეთესო ამერიკელი სიმაღლეზე მტომელოს — მსოფლიო რეკორდსმენი მ. მატელორდისა და რ. ბრაუნის საინტერესო დუელი. იგი მოიგო 22 წლის ბრაუნმა, რომელიც 223 სმ სიმაღლეზე ვადებულ თამაშს გადაეგო. მას შემდეგ, რაც 1961 წელს გ. ბრუმელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის (225 სმ), საბჭოთა მტომელოს გარდა მის ამ შედეგს ასე ვერავის მიუახლოვდა. მატელორდმა II იდგილი დაიკავა — 216 სმ.

სან-ფრანცისკოში შედგა კოკით მტომელოზა ჩ. იბაქსონმა წლევენდელ ზამთარს საუკეთესო შედეგს მიაღწია დარბაზებისთვის — 531 სმ.

ლიბიციში დახურული შენობებისთვის გდრის რეკორდი დაამყარა ს. ოუნგემ, რომელმაც 219 სმ სიმაღლე გადალახა. ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა წლეულს ევროპაშიც. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. გუმელმა 18,25 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიოს დარბაზებისთვის.

### გასწორება

„ლელოს“ წინა ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული წერილის „... შემთხვევითი ვახდა მუკარე“ მესამე აბზაცის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: გუნდი, რომელსაც „მოლინა“ დაერქვა.

მეექვსე აბზაცის მეორე სტრიქონი — ასე: ლი კაიერა. 1966 წელს აპარის გუ-

მესამე სვეტის პირველი აბზაცის მესამე სტრიქონი — ასე: მან მანწავლა საჯაროობა ბურ-

### რედაქტორი მ. პაპაბაძე

თბილისის სპორტის სასახლე

### სსრკ-ის სახელმწიფო აპარატის გაზეთი

● ვიქ-ან-ჯეი, 27 იანვარი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე სანტაშორისო ტურნირის XIII ტურში სმისლოვა (სსრ კავშირი) მოუგო ლიუბოვიჩის (იუგოსლავია). საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სავონმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ლანგევეგთან. ტურნირის ლიდრობენ პორტიში (უნგრეთი) — 9,5 ქულა, პომარი (ესპანეთი), პორტი (ჩეხოსლოვაკია) — 7,5-7,5, სმისლოვი, სავონი — 7,7.

19 45

### მსოფლიო ჩემპიონის წინადადება

ბალინი, 27 იანვარი. აქ გრძელდება ასუქრიან შაში ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

V პარტიაში ბროლა მე-20 სვლაზე შეწყდა. ანდრეიკოს წინადადებათ მეტოქენი დაზავდნენ. VI პარტიაში თამაში 26-ე სვლამდე გაგრძელდა და მსოფლიო ჩემპიონის წინადადებათ კვლავ ყაიმით დასრულდა.


ამრიგად, ორთაბროლის ანვარიშია 3:3.

### ● ვიქ-ან-ჯეი, 28 იანვარი.

უნგრელმა დიდოსტატმა ლ. პორტიშმა ვადაქდე — აქ მიმდინარე საერთაშორისო „პოგოვენ“-ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით იდრე გაინაღდა პირველობა — 10 ქულა დაავროვა 14-დან. მის უახლოეს მდევრებს — ჩეხოსლოვაკიელ ვ. პორტსა და ესპანელ ა. პომარს 8,5-8,5 ქულა აქვთ და, ცხადია, ვეღარ დაეწვივან პორტიშს. ბოლო ტურის წინ საბჭოთა დიდოსტატებს ვ. სმისლოვსა და ვ. სავონს 7,5-7,5 ქულა აქვთ. მათ ავსტრალიელი უ. ბრაუნცი უსწრებს (8 ქულა). ქალთა შეჯიბრების ბოლო ტურის წინ ყველაზე კარგი შედეგი აქვს ბაქოელ ტ. ზატულგესკაის — 7,5 ქულა. მას ქულით ჩამორჩებიან მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) და მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი).

### თბილისის სპორტის სასახლე

29-30 იანვარი  
საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ მიჯაჯაში მსოფლიოს საფეხის ჩემპიონის ვიქი პარტოვიას სახელობის თასზე.



მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. დასაწყისი 11 და 18 ს.